

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო

MINISTRY OF ENVIRONMENTAL PROTECTION AND AGRICULTURE OF GEORGIA

სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტო

LEPL NATIONAL FOOD AGENCY

თბილისის საქალაქო სამსახური

TBILISI CITY SERVICE

N 09-2/5279

26/06/2018

5279-09-2-2-201806261659



საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების  
ცენტრის პროგრამის კოორდინატორს  
ვახტანგ კობალაძეს

ბატონო ვახტანგ,

2018 წლის 19 ივნისს, სსიპ სურსათის ეროვნულ სააგენტოში შემოვიდა თქვენი N10153 შეტყობინება, რომელიც ეხებოდა ქ. თბილისში, რობაქიძის გამზ. N7 მდებარე ნახევარფაბრიკატების საწარმო/სარეალიზაციო მარკეტში (ი.მ. გიორგი ლონდარიძე) ეტიკეტირების წესის დარღვევის ფაქტს.

გაცნობებთ, რომ 2018 წლის 22 ივნისს თბილისის საქალაქო სამსახურის ინსპექტორების მიერ განხორციელდა სახელმწიფო კონტროლი ქ. თბილისში, რობაქიძის გამზ. N7 მდებარე ნახევარფაბრიკატების საწარმო/სარეალიზაციო მარკეტში - ი.მ. „გიორგი ლონდარიძე“ (ს/კ01001094912) სახელმწიფო კონტროლის განხორციელებისას შემოწმდა ობიექტზე არსებული სანიტარულ/ჰიგიენური მდგომარეობა, სურსათის ეტიკეტირება, ვარგისიანობის ვადები, შენახვა-რეალიზაციის პირობები და სხვა კანონმდებლობით გათვალისწინებული მოთხოვნები.

შემოწმებისას გამოვლინდა ეტიკეტირების წესის დარღვევა. სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსის, მუხლი 74<sup>1</sup>, I ნაწილის შესაბამისად ბიზნესოპერატორი დაჯარიმდა 400 (ოთხასი) ლარით.

პატივისცემით,

ვასილ ბასილაძე

სამსახურის უფროსი